განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29.05.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
24.07.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **201951637** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **ქართული მევენახეობა-მეღვინეობა** |
| განათლების საფეხური | **მაგისტრატურა** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი, 0888** |
| სწავლების ენა | **ქართული** |
| კრედიტების რაოდენობა | **120** |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტირებული** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა ხითარიშვილი, დამოუკიდებელი ექსპერტი, (მევენახეობა მეღვინეობის სპეციალისტი) საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან გულუა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამუკა კოტეტიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გვანცა ძიძიგური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### 1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მევენახეობა, მეღვინეობის მაგისტრატურას, რომელიც გადის რეაკრედიტაციას. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია 2015 წელს გაიარა (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #50 12.06.2015 წელი). 2015 წელს მოქმედი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით არ იყო გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის დარგი/სპეციალობა ან ქვედარგი/სპეციალიზაცია - რის გამოც კურსდამათავრებულების კვალიფიკაციის მინიჭება ხდებოდა აგრარულ მეცნიერებებში. 2017 წელს უნივერსიტეტმა დაიწყო ახალ ჩარჩოზე მუშაობა, სადაც ახალი პროფესიული კვალიფიკაცია უნდა განესაზღვრა.

პროგრამა წინამორბედ ზოგად სპეციალობასთან შედარებით სახეცვლილია, კერძოდ კი სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ზოგადი აგრარული მეცნიერების კვალიფიკაცია ჩანაცვლდა უფრო ვიწრო სპეციალობის სახელწოდებით - მევენახეობა, მეღვინეობის კვალიფიკაციად. ასევე ამოღებულია სასწავლო პროგრამიდან გარკვეული საკითხები და დამატებულია სხვადასხვა სასწავლო საგნები და საკითხები, როგორც სავალდებულო ასევე არჩევით საგნებში. მევენახეობა მეღვინეობის სწავლების ეტაპები ემთხვევა რეალურ მევენახეობა, მეღვინეობის კალენდარს. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს.

პროგრამის მიზანია აღზარდოს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტები, შემდგომი დარგში სამეცნიერო თუ პრაქტიკული განვითარების კუთხით, რომელიც მიღწეულია უნივერსიტეტის მიერ შექმნილი თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით.

პროგრამის მიზანია განათლების დამამთავრებელ ეტაპზე „შექმნას“ახალი ტიპის მევენახე, მეღვინე, აგროსამრეწველო პროცესებში ღრმად განსწავლული ადამიანი, რომელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტრადიციული ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგისა და ბიზნესის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

### 2. აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი განხორციელდა 29 მაისს კავკასიის სერთაშორისო უნივერსიტეტში, ვიზიტის შემოწმება განახორციელეს ექსპერთა 4 კაციანმა ჯგუფმა, (ანა ხითარიშვილი, ლევან გულუა, მამუკა კოტეტიშვილი, გვანცა ძიძიგური). ვიზიტის დროს იმყოფებოდა უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი; განხორციელდა ასევე სტუდენტების, უნივერსიტეტის დამატებითი პერსონალის და პროფესორ-მასწავლებლების ონლაინ ჩართვები/ინტერვიუები. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ ბიბლიოთეკა, საგანმანათლებლო რესურსები, აუდიოტორიები, კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სადეგუსტაციო ოთახი, ქართული ტრადიციული მარანი.

ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამის შინაარსი და კურსზე დაშვების წინაპირობები, ასევე ინტერვიუ ჩატარდა არსებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროსვე შემოწმდა სტუდენტთა ნაშრომები.

## 3. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## 4. რეკომენდაციები

1. ძირითადი სახელწოდება უნდა გასწორდეს ინგლისურ ენაზე შემდეგნარიად: - ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **Master Degree Program in Georgian Viticulture and Enology**; ასევე **Oenology** სიტყვა უნდა შეიცვალოს Enology-ით
2. სასწავლო პროგრამის სახელწოდებებში შესატანია ცვლილებები (არასწორად არის ფორმულირებული სახელწოდება). კურსის შედეგებში და მიზნებში მხოლოდ მითითებული იყო ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტების გადამზადება, რაც უნდა ჩასწორდეს როგორც **"მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტით"**, რადგანაც კურსი ფართოდ ფარავს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ პროგრამას, როგორც ტრადიციული მეთოდებს ასევე თანამედროვე მიდგომებს.
3. აუცილებელია გარკველი ჩასწორება გაკეთდეს შემუშავებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების (პსშ) მექანიზმის დოკუმენტში - კერძოდ კი ჩასწორდეს სახელწოდებები:

   პსშ 1 - ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების და მავნებლების კონტროლი / ან ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების - მავნებლების კონტროლი

   პსშ 2 - სუფრის თეთრი, ვარდისფერი, წითელი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება

4. საჭიროა არჩევითი შესავალი კურსის / ან გაძლიერებული სასწავლო კურსის შემოტანა, სხვა კვალიფიკაციის მქონე საბაკალავრო სტუდენტების გადასამზადებლად - ისეთ საგნებში როგორიცაა: ორგანული ქიმია/ენოქიმია; ბიოლოგია და სხვა საჭირო საგნები.

5. გასათვალისწინებელია სილაბუსების სახელწოდებების და სილაბუსში არსებული შინაარსის სახეცვლილება სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია, 2.3. რეკომენდაციების ნაწილში თითოეული მოდულის მიხედვით.
6. სამაგისტრო პროგრამა არის უკვე სამეცნიერო მიმართულების და იგულისხმება რომ ლიტერატურა უნდა მიეთითოს სწორად და გამართულად. ასევე გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე, აქტუალური და სამეცნიერო სავალდებულო ლიტერატურა.

   უმეტესობა სილაბუსში მითითებული ლიტერატურა არაერთგვაროვანია სტილისტურად და ზოგჯერ ცდომილებებითაა წარმოდგენილი. ნებისმიერ შემთხვევაში ლიტერატურის მითითებისას გარკვეული სტილი უნდა იყოს შერჩეული და მხოლოდ ერთი არჩეული სტილის სახით იყოს მოცემული; ეს ეხება როგორც პროფესორის მიერ მომზადებულ სილაბუსს, პრეზენტაციას, რიდერს, ასევე სტუდენტის ნებისმიერ ნაშრომს.

   <u>მაგალითად:</u>
   APA; Chicago; MLA; Harvard და სხვ.
   ინფორმაცია ერთ-ერთ სტილზე Chicago არის მაგალითად:https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-1.htmlასევე სხვა სტილებზე ინფორმაცია: https://www.easybib.com/reference/guide/apa/journal

7. შინაარსობრივად გარკვეული მოდულების საკითხების გადაფარვა ხდება, დეტალური რეკომენდაციები წარმოდგენილია 2.3. რეკომენდაციების და რჩევების ნაწილში თითოეული მოდულის მიხედვით.

8. სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო საათების დაანგარიშებით პრეზენტაციისათვის განკუთვნილი დროის ნაწილი საკმაოდ მცირეა, მაგალითად პრეზენტაციებისათვის განკუთვნილია მხოლოდ 1 საათი ღვინის დეგუსტაციებში; 2 საათი მევენახეობის აგროტექნოლოგიაში; 2 საათი ყურძნისეული წარმოშობის მაღალალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიაში, 2 საათი მეღვინეობაში; აღნიშნული დრო გათვლილია 15-ზე მეტ სტუდენტზე, რაც პროპორციულად სტუდენტების რაოდენობის მიხედვით საკმაოდ მცირეა.
9. პროფესორ-მასწავლებების უმეტესობას აქვთ მწირი გამოცდილება საერთაშორისო კვლევით საქმიანობებში. აუცილებელია მეტი კვლევების ჩატარება და საერთაშორისო სტატიებს გამოქვეყნება. სტუდენტებიც აქტიურად უნდა იყვნენ სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულები და უნდა ამაღლდეს სამაგისტრო ნაშრომების მეთოდოლოგიის შემუშავების და წერის კვალიფიკაცია, შედეგად კი უნდა მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე სტანდარტების დანერგვა კვლევებში.

## 5. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სხვა საერთაშორისო მსგავსი პროგრამების გადახედვა მათ მიერ გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურის მოძიება და გამოყენება ეტაპობივრად. შესაბამისი რჩევები მოცემულია თანდართულ 2.3 რჩევების ნაწილში.

გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილება სწავლებაში და ასევე მოდულის შინაარსის და შედეგების შემუშავებისას. სასურველია სხვა საერთაშორისო მსგავსი პროგრამების მიზნების და მიღწეული შედეგების გადახედვა: მაგალითად:

UC Davis University https://wineserver.ucdavis.edu/#/
Bordeaux Sciences Agro https://www.agro-bordeaux.fr
Vinifea Euromaster - http://vinifera-euromaster.eu/pages/?page=36&idl=21
Hochschule Geisenheim University - https://www.hs-geisenheim.de/en/
The University of Adelaide - https://www.adelaide.edu.au/degree-finder/mvo_mvitoenol.html

უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი, დასკვნის პროექტის წარმოდგენის შემდგომ წარმოდგენილი გარე შეფასების დოკუმენტი არის მოძველებული, კერძოდ კი 2018 წლის.

სასურველია უფრო მეტი ღვინის მიკროვინიფიკაციისათვის საჭირო დანადგარებით აღჭურვა, რომელიც იძლევა ღვინოების სწორად დამზადებისა და შენახვის გარანტიას, როგორიცაა უჟანგავი ფოლადის მცირე ზომის ავზები, თუმცა უნივერსიტეტმა დასკვნის პროექტის წარდგენის შემოდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული განმარტება, რომ ოკამის საწარმოში შეიძლება ღვინოების ვინიფიკაციის ჩატარება საჭირო ექსპერიმენტებისათვის.

დაიხვეწოს დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცედურა

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს უნივერსიტეტსა და საქართველოში არსებულ მეწარმეებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება, რაც ითვალისწინებს საკვლევი საკითხების წინასწარ შემუშავებას და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებას - იგულისხმება რომ მოხდეს აქტუალური კვლევის თემების ერთობლივად შემუშავება და განხორციელება.

ასევე საუკეთესო შედეგები მიიღება, თუ სწავლების პროცესში მოხდება ჯგუფური სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს რომელიმე საწარმოს შემოწმებას/აუდიტს; მსგავსი პრაქტიკა დანერგილია ბევრ მევენახეობა/მეღვინეობის უნივერსიტეტში, როგორიცაა (Supagro, Bordeaux Sciencee Agro და სხვ).

სამაგისტრო ნაშრომები საჭიროებს დახვეწას, ახალ პროგრამაში შეტანილია კვლევის მეთოდოლოგია და დაგეგმვა აგრარულ მეცნიერებებში, თუმცა არსებული ნაშრომები უნდა გასწორდეს საერთაშორისო სამაგისტრო ნაშრომების სტილისტიკის მიხედვით და შესაბამისად დაიხვეწოს.
**მაგალითად თეზისის სტრუქტურის მოთხოვნებია:**
https://www.hs-geisenheim.de/fileadmin/pruefungsverwaltung/Master-Studiengaenge/ViniferaEuromaster/ThesisStyleGuide1.pdf

https://www.unk.edu/academics/gradstudies/admissions/grad-files/Grad%20Files/ThesisGdlnsFinal08.pdf

სასურველია სამაგისტრო ნაშრომში, კვლევის მეთოდოლოგიის თანმდევ ნაწილში „შედეგები“ განცალკევებულად, უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს და შემდგომ, ცალკე თავად, მოხდეს მათი უფრო სირღმისეული ინტერპრეტაცია დისკუსიის სახით მანამდე არსებული მიღწევების ფონზე და ბოლოს აქვე წარმოდგენილი იქნას დასკვნები (და საჭიროების შემთხვევაში - რეკომენდაციები).

**1. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

**2. განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – არ არის**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ქართული მევენახეობა – მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: აღზარდოს ტრადიციული ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მცოდნე პროფესიონალი, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით; სტუდენტი შეისწავლის ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის დამახასიათებელ ტექნოლოგიურ და სამეურნეო – პრაქტიკულ ციკლს;<br><br>მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების დოკუმენტის მიზნებში მხოლოდ ტრადიციული ქართული მევენახეობა მეღვინეობის სპეციალისტია მითითებული, სწავლის შედეგების მიხედვით სახელწოდების სწორი ფორმულირება იქნება: "მევენახეობა მეღვინეობის სპეციალისტი".<br><br>პროგრამის მიზანია აღზარდოს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტები, შემდგომი დარგში სამეცნიერო თუ პრაქტიკული განვითარების კუთხით, რომელიც მიღწეულია უნივერსიტეტის მიერ შექმნილი თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით.<br><br>შეთავაზებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგადაა ფოკუსირებული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიის უშუალო რეალიზაციაზე და ამასთანავე მნიშვნელოვან როლს შეიტანს სპეციფიურად ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში ახალი სპეციალისტების გენერირებაში და ხელს შეუწყობს არსებული ცოდნის და გამოცდილების ზრდას ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში. ასევე მიზნები არის ხელმისაწვდომი და საჯარო.<br><br>კავკასიის სერთშორისო უნივერსიტეტი თნმშრომლობს ესპანეთის უნივერსიტეტთან, რომელთან ერთადაც სასწავლო კურსს შემატა ახალი სასწავლო მოდული ღვინის ტურიზმი. ასევე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ უცხოეთში გაიარონ სტაჟირება, ასევე საგანმანათლებლო აკადემიურ პერსონალმა შეძლოს სხვადასხვა სამეცნიერო ლბორატორიებში კვალიფიკაციის ამაღლება. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპოტენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის მიზნები;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუ
- სამაგისტრო ნაშრომები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამის წარმატების და შემდგომი განვითარებისთვის, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია კვლევის მატერიალურ-ტექნიუკური ბაზა (ლაბორატორიები).

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**აღწერა და შეფასება**

სწავლის მიზნების გათვალისწინებით შედეგები მიიღწევა შემოთავაზებული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის შედეგად, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო საგნების შესწავლას და საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებას ასევე არჩევითი მოთხოვნადი საგნების შესწავლას, როგორიცაა ღვინის ტურიზმი, ღვინის მარკეტინგი, მენეჯმენტი და სხვ. სასწავლო პროგრამაში არსებული საგნები სრულად უზრუნველყოფს ისეთი ცოდნის ათვისებას, რომელიც საჭიროა, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სამუშაოდ ასევე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გასაგრძელებლად. სასწავლო პროგრამა მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა: ვაზის ჯიშები მათი აგრო-ეკოლოგიური დახასიათება; ვენახების გაშენება, ნიადაგმცოდნეობა, ვაზის მავნებლები და დაავადებები, ვაზის მოვლის ოპერაციები და სხვ.; რაც შეეხება მეღვინეობას მასში შეტანილია ისეთი საგნები, როგორიცაა: ენოქიმია, მიკრობიოლოგია, ხარისხის კონტროლი, მეღვინეობა, ქვევრის ტრადიციული მეღვინეობა (რაც კურსის სათაურში ხაზგასმულია და დიდი ნაწილი უკავია სასწავლო პროგრამაში); ასევე სტუდენტებისათვის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო ნაწილი ემთხვევა პრაქტიკულ სამუშაოებს ვენახებსა, თუ საწარმოში, რაც თავისთავად უფრო ნაყოფიერს და შედეგიანს გახდის სწავლის პროცესს. სწავლის განხორციელება მოხდება უნივერსიტეტში არსებული ადამიანური და მატერიალური ბაზის გამოყენებით, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ აითვისონ საწარმოში მუშაობის შესაბამისი უნარ-ჩვევები და ასევე შეძლონ გააგრძელონ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა (უნივერსიტეტის მატერიალური კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე მიღებული ცოდნით). ასევე სასწავლო კურსი გარდა ვაზის და ღვინის შესახებ არსებული საგნების მოიცავს მაღალალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიის სასწავლო საგნებს, რაც თავისთავად შედეგიანია ამ ვიწრო სპეციალობის დარგის სპეციალისტების მომზადებისათვის და შესაბამისი უნარ-ჩვევების ათვისებისათვის.

აუცილებელია გარკველი ჩასწორება გაკეთდეს შემუშავებულ სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში - კერძოდ კი ჩასწორდეს სახელწოდებები:

პსშ 1 - ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების და მავნებლების კონტროლი

პსშ 2 - სუფრის თეთრი, ვარდისფერი, წითლი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სწავლის შედეგების ანალიზსს პერიოდულად

ატარებს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტი და სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო საგნების შესაბამისი კალენდარი შეიცვალა სტუდენტების თხოვნისა და რჩევების გათვალისწინებით, შეირჩა ისეთი დროები სწავლების, რომლებიც ემთხვევა ვენახებში ჩასატარებელ და ღვინის საწარმოში არსებულ რთველის დროებს. სწავლის შედეგების დადგენაში ასევე ჩართულები იყვნენ მოწვეული და აკადემიური პერსონალი, ზოგიერთი მათგანის მიერ სასწავლო პროგრმაში სავალდებულო საგნად იქნა დამატებული ახალი საგანი, რომელიც დაეხმარებათ სტუდენეტებს სწორად და აკადემიურად დაგეგმონ კვლევები აგრარულ მეცნიერებებში, ასეთი მიდგომა ინოვაციურია საქართველოში და უცხოური პრაქტიკიდან არის გადმოტანილი, ეს საგანია: “კვლევის მეთოდოლოგია და დაგეგმვა აგრარულ მეცნიერებაში”.

სტანდარტებთან შესაბამისობისას გაანალიზდა სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი, ასევე ინტერვიუები ჩატარდა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან. გაანალიზდა სამაგისტრო ნაშრომები. ანალიზის მიხედვით დადგინდა რომ მეტწილად სწავლის მიზნებთან შესაბამისობაშია სწავლის შედეგები - კერძოდ კი პროგრამის მიზანი აღზარდოს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტები, შემდგომი დარგში სამეცნიერო თუ პრაქტიკული განვითარების კუთხით, თუმცა არის გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს უნივერისტეტმა, რათა სრულყოფილად მოხდეს შედეგების მიღწევა. რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილი იქნება შესაბამის ქვე-თავეზში.

*აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა*

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის მიზნები
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ადამიანური რესურსი
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი/ოქმი
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- დამსაქმებლებთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები:** აუცილებელია გარკველი ჩასწორება გაკეთდეს შემუშავებულ სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში - კერძოდ კი ჩასწორდეს შემდეგნაირად:

პსშ 1 - ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების და მავნებლების კონტროლი / ან ვენახში მიმდინარე ყველა აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა, მართვა, ვაზის დაავადებების - მავნებლების კონტროლი

პსშ 2 - სუფრის თეთრი, ვარდისფერი, წითელი ღვინოების დამზადება კლასიკური ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, საწარმოო პროცესის ციკლის ცოდნა და პრაქტიკული განხორციელება

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სხვა საერთაშორისო მსგავსი პროგრამების მიზნების და მიღწეული შედეგების გადახედვა: მაგალითად:

UC Davis University https://wineserver.ucdavis.edu/#/

Bordeaux Sciences Agro https://www.agro-bordeaux.fr

Vinifea Euromaster - http://vinifera-euromaster.eu/pages/?page=36&idl=21

Hochschule Geisenheim University - https://www.hs-geisenheim.de/en/

The University of Adelaide - https://www.adelaide.edu.au/degree-finder/mvo_mvitoenol.html

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ქართული მევენახეობა – მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ნებისმიერი მიმართულების/სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.<br><br>უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობაში გამოცდის ნაცვლად შესაძლოა ჩატარდეს გასაუბრება. პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის, უნივერსიტეტში, სპეციალობაში ჩატარებული შიდა გამოცდისა და ინგლისურ ენაში ტესტირების შედეგები. ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.<br><br>ქართული მევენახეობა – მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. http://www.ciu.edu.ge.<br><br>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შიდა გამოცდა ან გასაუბება. ცალკეულ სილაბუსებში ჩასასწორებელია დაშვების წინაპირობები (იხილეთ რეკომენდაციები 2.3- |

ში); რადგანაც სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება არ არის შეზღუდული განსხვავებული კვალიფიკაციის მქონე სტუდენტებისათვის, სასურველი იქნება შესავალი კურსის შექმნა / ან ცალკე გაძლიერებული კურსის შექმნა - ზოგად ქიმია, ბიოლოგია თუ სხვა საჭირო საგნებში, რაც დაეხმარება განსხვავებული კვალიფიკაციის სტუდენტებს მოცემული სასწავლო პროგრამა უფრო ეფექტურად და შედეგიანად აითვისონ, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მსგავსი კურსის არსებობა ძალიან დაეხმარებოდათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის ბრძანებები და შიდა დოკუმენტაცია

**რეკომენდაციები:**

რეკომენდირებულია შესავალი კურსის / ან გაძლიერებული სასწავლო კურსის შემუშავება ქიმიაში, ბიოლოგიაში და სხვა საჭირო საგნებში. რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სტუდენტების მომზადებას, რომელთა საბაკალავრო კვალიფიკაცია განსხვავდება აგრარული და სასურსათო მეცნიერებებისაგან

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია გარკვეული შესწორებები გაკეთდეს ცალკეულ სილაბუსებში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სასწავლო პროგრამის შემუშავებისას მოსამზადებელ ეტაპზე მოხდა დასაქმების ბაზრის კვლევა; დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა; დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად მოხდა ინფორმაციის და რესურსების მობილიზება; სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

საწყის ეტაპზე ჩატარდა პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი, რომლის მეშვეობით დადგინდა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები (SWOT ანალიზი). შედგა პროგრამის განვითარების გეგმა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულად მოხდა მისი განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება:

სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისგან.

(A) სავალდებულო სასწავლო კურსები - 54 ECTS;

(B) არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS;

(C) პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS;

(D) კვლევითი კომპონენტი - 41 ECTS.

პროგრამა ემსახურება მაგისტრანტის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სამეცნიერო გზის გასაგრძელებლად, ან პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად. გარდა მევენახეობა-მეღვინეობის თეორიული, ტრადიციული სასწავლო კურსებისა, პროგრამის ფარგლებში ცალკე კურსებად ისწავლება ქართული, ტრადიციული ქვევრი და მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისა და მათი ორიგინალურობის შემსწავლელი დისციპლინები.

გარკვეული მიმართულებით მაგისტრანტის სწავლების კონცენტრირება და ცოდნის გაღრმავება ხდება არჩევითი დისციპლინების მეშვეობით, მაგისტრანტის ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით. პრაქტიკული კომპონენტი თეორიული სწავლების შემდეგ შემაჯამებელი კომპონენტია. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საველე

პრაქტიკა მევენახეობაში და საწარმოო პრაქტიკა მეღვინეობაში. გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, სტუდენტი გადაწყვეტილებას იღებს შემდგომში კონკრეტული სფეროს კვლევასთან დაკავშირებით. კვლევითი კომპონენტი მაგისტრანტს უნვითარებს კვლევის უნარებს, რაც შემდგომში აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.

სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, პროგრამის კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
ა) აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში.
ბ) სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ პროფესორ-მასწავლებლებს, პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებს. მათ თავიანთი რჩევებით გარკვეული წვლილი შეაქვთ პროგრამის განვითარების პროცესში - მათი რჩევით მოხდა პრაქტიკული სწავლების დაგეგმვა მეღვინეობა მევენახეობისათვის შესაბამის დროებში
დ) კურსდამთავრებულებისათვის შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი.
ე) დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში. ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ; დამსაქმებლები თავიანთი რჩევებითა და რეკომენდაციებით ეხმარებიან უნივერსიტეტს

ქართული მევენახეობა–მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ **120 ECTS** კრედიტის დაგროვება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, პროგრამა ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ფორმით ასევე ბეჭდვითი ფორმით.

სასწავლო პროგრამის ძირითადი სახელწოდება უნდა გასწორდეს ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: - ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა Master Degree Program in Georgian Viticulture and Enology; ასევე Oenology სიტყვა უნდა შეიცვალოს Enology-ით რადგანაც მსგავსი სახითაა დამკვიდრებული საერთაშორისო მსგავსი სასწავლო პოგრამები. ასევე მოდულის სახელწოდებებში შესატანია ცვლილებები (არასწორად არის ფორმულირებული სახელწოდება). კურსის შედეგებში და მიზნებში მხოლოდ მითითებული იყო ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტების გადამზადება, რაც უნდა ჩასწორდეს როგორც “მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტით”., რადგანაც სასწავლო პროგრამა ფარავს როგორც ტრადიციულ

მევენახეობა მეღვინეობის სასწავლო პროგრამას ასევე ზოგადად მევენახეობა მეღვინეობას. ასევე 2.3. მოცემულია რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევებზე.

სამაგისტრო სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს პირველ რიგში ლიტერატურის სწორად მითითებას, რადგანაც კვლევის საგნის შესახებ არსებული ინფორმაციის მიღება ხდება გარკვეული სტატიების/ნაშრომების დამუშავების შედეგად, არასწორად მითითებული ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს დაუშვებელია, როგორც სილაბუსებში პროფესორების მიერ ასევე სტუდენტების მიერ, ასევე სამაგისტრო სასწავლო პროგრამაზე სილაბუსებში უნდა იყოს სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული მხოლოდ სამეცნიერო მიმართულების და ბოლოდროინდელი აქტუალური ლიტერატურა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროფესორ-მასწავლებლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- დაინტერესებული პირების სხდომის ოქმები

**რეკომენდაციები:**

მოდულის სახელწოდებებში შესატანია ცვლილებები (არასწორად არის ფორმულირებული სახელწოდება). კურსის შედეგებში და მიზნებში მხოლოდ მითითებული იყო ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტების გადამზადება, რაც უნდა ჩასწორდეს როგორც **"მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტით"**, რადგანაც სასწავლო პროგრამა ფარავს როგორც ტრადიციულ ქართულ მევენახეობა მეღვინეობის სასწავლო პროგრამას ასევე ზოგადად მევენახეობა მეღვინეობას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მეტწილად სწავლის შედეგების მიღწევას.

საკონტაქტო საათების დაანგარიშებით პრეზენტაციისათვის განკუთვნილი დროის ნაწილი საკმაოდ მცირეა, მაგალითად პრეზენტაციებისათვის განკუთვნილია მხოლოდ 1 საათი ღვინის დეგუსტაციებში; 2 საათი მევენახეობის აგროტექნოლოგიაში; 2 საათი ყურძნისეული წარმოშობის მაღალალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიაში, 2 საათი მეღვინეობაში; აღნიშნული დრო გათვლილია ცალკეულ მოდულზე, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა არის 15 ზე მეტი, რაც პროპორციულად სტუდენტების რაოდენობის მიხედვით მცირეა.

თითოეული კომპონენტის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული კომპონენტის ასათვისებლად. ამ პრინციპების გათვალისწინებით დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროის ჯამი / 25 საათზე = X კრედიტის ტოლია. ხორციელდება პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება.

სილაბუსებში მითითებული უმეტესი სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს მეტწილად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ესენია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით. სასწავლო კურსი იძლევა შანსს მომავალმა სტუდენტებმა გამოიყენოს ცოდნა ახალ კვლევებში, რომლის სიმცირეც არის რეგიონში; როგორიცაა მაგალითად კვლევა ქვევრის ღვინის

წარმოებაში, ქართული ენდემური ჯიშების შესწავლა და სხვ.

თუმცა ცალკეულ საგნებში გასათვალისწინებელია სილაბუსების სახელწოდებების და სილაბუსში არსებული შინაარსის სახეცვლილება, რომელიც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციების და რჩევების ნაწილში თითოეული მოდულის მიხედვით. ასევე გასათვალისწინებელია ლიტერატურის სწორად მისადაგების საკითხიც და მათი მითითებისას გამოყენებული ინსტრუმენტები - უმეტესობა სილაბუსში მითითებული ლიტერატურა არაერთგვაროვანია სტილისტურად და ზოგჯერ ცდომილებებია სახელწოდებებში. ასევე შინაარსობრივად გარკვეული მოდულების საკითხების გადაფარვა ხდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანალიზი
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა
- ინტერვიუე სტუდენტებთან და პროფესრო-მასწავლებლებთან

**რეკომენდაციები:**

**რეკომენდაციები სილაბუსის უზუსტობებზე:**
**რეკომენდაციები კურსის შინაარსზე, სტრუქტურასა და ლიტერატურაზე:**

ზოგადად რეკომენდაციაა, რომ ლიტერატურის მითითებისას გარკვეული სტილი იყოს შერჩეული და მხოლოდ ერთი ცალკეული სტილით იყოს წარმოდგენილი თითოეული პროფესორის მიერ თუ სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომებში; მაგალითად:
APA; Chicago; MLA; Harvard და სხვ.
ეს ეხება ასევე სამაგისტრო ნაშრომებსაც.
ინფორმაცია ერთ-ერთ სტილზე Chicago არის მაგალითად:
https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-1.html
ასევე სხვა სტილებზე ინფორმაცია:
https://www.easybib.com/reference/guide/apa/journal

## სავალდებულო საგნები:

## 1. აკადემიური წერა

ზოგადად რეკომენდაციაა, რომ ლიტერატურის მითითებისას გარკვეული სტილი იყოს შერჩეული და მხოლოდ მსგავსი სახით იყოს მოცემული ცალკეული პროფესორების მიერ; მაგალითად:
APA; Chicago; MLA; Harvard და სხვ.
ეს ეხება ასევე სამაგისტრო ნაშრომებსაც.
ინფორმაცია ერთ-ერთ სტილზე Chicago არის მაგალითად:
https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-1.html
ასევე სხვა სტილებზე ინფორმაცია:
https://www.easybib.com/reference/guide/apa/journal
**რეკომენდაციები დამხმარე ლიტერატურაზე:**

The Bedford Handbook, 5th ed. Diana Hacker, Boston; Bedford, 1998.
**გასასწორებელია სტილი; უნდა იყოს:**

Hacker, Diana, and Nancy Sommers. *The Bedford Handbook with 2009 MLA and 2010 APA*

*Updates: A PDF-style e-book*. Macmillan Higher Education, 2010.

## 2. ამპელოგრაფია

ზოგადად რეკომენდაციაა, რომ ლიტერატურის მითითებისას გარკვეული სტილი იყოს შერჩეული და მხოლოდ მსგავსი სახით იყოს მოცემული; მაგალითად:

APA; Chicago; MLA; Harvard და სხვ.

## 3. ვაზის სელექცია და გენეტიკა

სწავლის შედეგები და მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული, სილაბუსის შინაარსიც გამართულია და ლიტერატურა შესაბამისია.

## 4. ვენახის ნიადაგები და მათი ნაყოფიერების მართვა

**რეკომენდაციები: მითითებულ ლიტერატურაში სტილისტიკაშია შეცდომა ან არ იძებნება:**

- ✓ მევენახეობა - აგროტექნოლოგია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. თბილისი 2016 წელი. 239 გვ. (არ იძებნება)
- ✓ სასუქების გამოყენების სისტემა - ამირან თხელიძე, გამომცემლობა „მწიგნობარი“2009წ.372გვ. (ლიტერატურის მითითების სტილისტიკა სხვებისაგან განსხვავდება)

**გასასწორებელია:** Sustainable Practices forBC VineyardsCondensed Guiddebook.2016.BC Wine Grape Council, 138 pages. **უნდა იყოს ინტერნეტ რესურსად:**
https://bcwgc.org/sites/default/files/Sustainable%20Wineries_Guidebook_Condensed_Feb%202016.pdf

## 5. მ ე ვ ე ნ ა ხ ე ობ ა

**რეკომენდაცია:**

რადგანაც მევენახეობის სასწავლო კურსი მოიცავს სრულად ვაზის შესახებ ინფორმაციას, აუცილებელია, რომ გათვალისწინებული იყოს ვაზის ფიზიოლოგიის და ეკოლოგიის უფრო ფართოდ წარმოდგენა.

